



**ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო**



ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა № 440

16 აგვისტო
“ --- ” ----- 2024 ♡

ქ. თბილისი

„ქ. თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 მაისის №985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 აგვისტოს №24.1400.1577 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას „ქ. თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 მაისის №985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე ms.gov.ge რეგისტრირებული №01233003393-67 (№ №01241594-67; 01241733335-67 ; 012418424-67; 012418510-67; 01241869-67; 01241933807-67; 01242112911-67; 012421634-67; 01242253268-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება ვასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა



განკარგულება - N 24.1400.1577
13 / აგვისტო / 2024 წ.

„ქ.თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ნიხსა და III ნიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 მაისის N985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2023 წლის 27 ოქტომბრის N01233003393-67 (N N01241594-67; 01241733335-67 ; 012418424-67; 012418510-67; 01241869-67; 01241933807-67; 01242112911-67; 012421634-67; 01242253268-67) განცხადებით მიმართა ვიორჯი ბოლაშვილმა (პ/ნ14001003639) და მოითხოვა „ქ. თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ნიხსა და III ნიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 მაისის N985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, გურამ რჩეულიშვილის ქუჩის II ნიხსა და III ნიხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: NN01.15.02.055.141; 01.15.02.055.162 ; 01.15.02.055.075; 01.15.02.055.073 ; 01.15.02.055.155; 01.15.02.055.142; 01.15.02.055.190); საპროექტო მიწის ნაკვეთების ჯამური ფართობი: 3028,0 კვ.მ.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

„თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2020 წლის 14 თებერვლის (საქმე N3/4862-17) გადაწყვეტილების აღსრულების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე მერი) 2022 წლის 16 აგვისტოს N723 ბრძანებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ლერი წოწორიას წარმომადგენლის, ირმა მახათაძის 2017 წლის 12 ივლისის N19/01171931052-01 ადმინისტრაციული საჩივარი. ბათილად იქნა ცნობილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 8 აპრილის N1163759 გადაწყვეტილება და 2014 წლის 30 ივლისის N1393925 ბრძანება იმ ნაწილებში, რომლებითაც N01.15.02.055.141 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება და განაშენიანების რეგულირების გეგმა და ამ ნაწილში დაევალა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევის შემდგომ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემა.

N01233003393-67 (NN01241594-67; 01241733335-67; 012418424-67; 012418510-67; 01241869-67; 01241933807-67; 01242112911-67; 012421634-67; 01242253268-67) განცხადებით



მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ხორციელდება საპროექტო ტერიტორიის საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) რეგლამენტით განვითარება (ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 მაისის N985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად), N01.15.02.055.141 საკადასტრო ერთეული უერთიანდება შემდეგ საკადასტრო ერთეულებს: ს/კ: NN01.15.02.055.155 - 717 კვ.მ; 01.15.02.055.142 - 236 კვ.მ; 01.15.02.055.190 - 76 კვ.მ; 01.15.02.055.162 - 483 კვ.მ; 01.15.02.055.075 - 551 კვ.მ; 01.15.02.055.073 - 474 კვ.მ; მათი ჯამური ფართობი - 3028 კვ.მ, ხოლო, კ-2 - 2,5.

მიღებულ საპროექტო სექტორზე განთავსება ორი შენობა, ერთი შენობა წარმოადგენს სამ სართულიან ნაგებობას, ხოლო, მეორე ძირითადი შენობა, წარმოადგენს 16 სართულიან ნაგებობას, 16 სართული განთავსება მიწის ზევით ხოლო 2 - მიწის ქვეშ. მაქსიმალური სიმაღლე 50,0 მეტრით.

სექტორი N3 - სზ-6

კ-1-0,4 (1 260 კვ.მ)

კ-2-2,5 (7 570 კვ.მ.)

კ-3-0,6 (1 771 კვ.მ.)

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5¹ პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ) თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ლამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2024 წლის 5 აგვისტოს N01242184210 წერილის შესაბამისად, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2024 წლის 13 აგვისტოს N01242261144 წერილის შესაბამისად,

არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულის შესაბამისად, „ქ. თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 მაისის N985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 75-ე მუხლის „ე.ბ“ ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01233003393-67 (N N01241594-67; 01241733335-67 ; 012418424-67; 012418510-67; 01241869-67; 01241933807-67; 01242112911-67; 012421634-67; 01242253268-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნას „ქ. თბილისში, რჩეულიშვილის ქუჩის, რჩეულიშვილის ქუჩის II ჩიხსა და III ჩიხს შორის არსებულ ტერიტორიაზე საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 5 მაისის N985 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2. წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი დასამტკიცებლად გადაეგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერს) ირაკლი ხმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



კახა კალაძე



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური



წერილის ნომერი: 01242184210
თარიღი: 05/08/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 03 აგვისტოს №012421634-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, გურამ რჩეულიშვილის III ჩიხის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ:01.15.02.055.190; ს/კ:01.15.02.055.141; ს/კ:01.15.02.055.162; ს/კ:01.15.02.055.075; ს/კ:01.15.02.055.142; ს/კ:01.15.02.055.155; ს/კ:01.15.02.055.073 და დაურეგისტრირებელი ტერიტორია. ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2); საპროექტო ზონირება: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (**არსებული**: 2 ძირი ბზა; 2 ძირი ოლეანდრი; 3 ძირი აუკუბა; 1 ძირი ტუია; 1 ძირი ტირიფი; 2 ძირი ცაცხვი; 7 ძირი სოჭი; 2 ძირი კაკალი; 1 ძირი დაფნა; 3 ძირი სოფორა; 1 ძირი იასამანი; 1 ძირი კრიპტომერია; 1 ძირი ნაძვი და **საპროექტოდ დასარგავი**: 20 ძირი ევროპული მუხა; 10 ძირი ცრუ აკაცია, რობინია; 7 ძირი ჭალის მუხა; 40 ძირი იტალიური ფიჭვი; 12 ძირი ფოტინია) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (**კ3=1771კვ.მ**).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ამასთან, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწეება შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო
სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო



წერილის ნომერი: 01242261144
თარიღი: 13/08/2024

2024 წლის 12 აგვისტოს N 01242253268-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, გურამ რჩეულიშვილის II ჩიხის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.15.02.055.190; 01.15.02.055.141; 01.15.02.055.162; 01.15.02.055.075; 01.15.02.055.142; 01.15.02.055.155; 01.15.02.055.073;) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი ცვლილების პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია. თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე გააანალიზა მოსალოდნელი ზეგავლენა.

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ამ ეტაპზე საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების დონე დამაკმაყოფილებელია. ავტობუსების გაჩერება მისაწვდომობის ფარგლებშია და გააჩნია რეზერვი. ამავე დროს, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ქუჩებზე განახლება და გაუმჯობესდება არსებული საზოგადოებრივი ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს, გაჩნდება დამატებითი რეზერვები და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას. საზ. ტრანსპორტის გაუმჯობესების შემდგომ მოსალოდნელია კვანძებზე არსებული რაიმე დატვირთულობის საგრძნობლად განმუხტვა.

მიმდებარე ტერიტორიაზე მოსაწესრიგებელია საქვეითე ინფრასტრუქტურა. მიმდებარე გზების უმეტეს ნაწილს ტროტუარი არ გააჩნია და გვხვდება სარეაბილიტაციო მონაკვეთები. რაც მთავარია არსებული პარამეტრები იძლევა საშუალებას, სამომავლოდ, სრულყოფილი საქვეითო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად. აღსანიშნავია, რომ საქვეითო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მერიის სატრანსპორტო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. წარმოდგენილი წინასაპროექტო კვლევა და რეკომენდაციები განხილული და გათვალისწინებული იქნება სამომავლოდ, მიმდებარე ტერიტორიების განახლება/რეაბილიტაციის, ასევე საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესებისთვის შემუშავებულ პროექტებში.


წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა შესაბამის თანხმობის წერილებთან ერთად.

დაგეგმილი პროექტი განხორციელების შემდეგ, ასევე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურისა და საზ. ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესების შემდეგ, ვერ მოახდენს არსებით უარყოფით ზეგავლენას არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიკირი ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





თბილისის არქიტექტურა

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილება

დოკუმენტი №7166520

განაცხადი №AR11051770

თარიღი : 06.08.2024



განმცხადებელი: ეკა მხეიძე პ/ნ: 01009007031

ობიექტის მისამართი: ქალაქი თბილისი , გურამ რჩეულიშვილის III ჩიხი, N 5; ქალაქი თბილისი, გურამ რჩეულიშვილის II ჩიხი, N 16; ქალაქი თბილისი, გურამ რჩეულიშვილის II ჩიხი, N 14; ქალაქი თბილისი, გურამ რჩეულიშვილის III ჩიხი, N 7; ქალაქი თბილისი, გურამ რჩეულიშვილის II ჩიხი, N 12; ქალაქი თბილისი, გურამ რჩეულიშვილის III ჩიხი, N 9; ქალაქი თბილისი , რჩეულიშვილის II ჩიხი , N 16-ის მიმდებარედ;

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- ადმინისტრაციული საკითხები

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: უარყოფა

- სავარაუდოდ სიმაღლე და აგრეთვე მოცულობა შესამცირებელია. სივრცეში ზედმეტად იჭედება მოცულობები.

კომისიის წევრი: უარყოფა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: თანხმობა

- -

კომისიის წევრი: უარყოფა

• -

კომისიის წევრი: უარყოფა

• ვფიქრობ, რომ წარმოდგენილი მოცულობა დიდი და შეუსაბამოა არსებული განაშენიანებისთვის. ამავდროულად ვფიქრობ, რომ ქალაქგეგმარებითი კუთხითაც სრულიად გაუაზრებელია.

კომისიის წევრი: თანხმობა

• -

განაცხადზე კომისიის/საბჭოს შეფასება "დადებითი"
კომისიის/საბჭოს ჩატარების თარიღი: 08.08.2024


კომისიის/საბჭოს დასკვნა - რეკომენდაცია:

ოქმი N30

მიეცეს დადებითი შეფასება ქ. თბილისში, გურამ რჩეულიშვილის III ჩიხი, N9, N7, N5 -ში (ს.კ N01.15.02.055.190, 01.15.02.055.162, 01.15.02.055.141, 01.15.02.055.075, 01.15.02.055.142, 01.15.02.055.155, 01.15.02.055.073) განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის შეთანხმების საკითხს.



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია არქიტექტურის სამსახური



წერილის ნომერი: 60-0124225725
თარიღი: 12/08/2024

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის
ადრესატი: იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
ტრანსპორტისა და ურბანული
განვითარების სააგენტოს

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2024 წლის 5 აგვისტოს N16-01242182415 (17-01242182503-60 05.08.2024) წერილი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, გურამ რჩელიშვილის III ჩიხი, N9, N7, N5 -ში (ს.კ N01.15.02.055.190, 01.15.02.055.162, 01.15.02.055.141, 01.15.02.055.075, 01.15.02.055.142, 01.15.02.055.155, 01.15.02.055.073) განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის შეთანხმების საკითხს.

გაცნობებთ, რომ „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის, „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვის გაცემასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 26 მარტის N137 დადგენილების, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსგან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილების დელეგირების თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N91 განკარგულებით დამტკიცებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 17 აპრილის N9-34 დადგენილების თანახმად აღნიშნული საკითხი განიხილა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ (ოქმი N30 08.08.2024წ.), რომლის გადაწყვეტილების საფუძველზეც ქ. თბილისში, გურამ რჩელიშვილის III ჩიხი, N9, N7, N5 -ში (ს.კ N01.15.02.055.190, 01.15.02.055.162, 01.15.02.055.141, 01.15.02.055.075, 01.15.02.055.142, 01.15.02.055.155, 01.15.02.055.073) განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილების პროექტის შეთანხმების საკითხს მიეცა დადებითი შეფასება.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

თამარი მელია

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-ძველი თბილისის სანებართვო განყოფილება-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიცირი ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



